



სახელმწიფო რწმუნებული ბიორგი დურჯუმელიძე იაკონიის ელჩის მოადგილეს კორიბუში მოსუპეს უხვდა



შეხვედრაზე მხარეებმა ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. ხაზი გაესვა გრასრუტების საერთაშორისო პროგრამის (GGP) მნიშვნელობას რეგიონული განვითარების საქმეში

და იაკონიის მთავრობის მიერ განხორციელებული დახმარების პრაქტიკულ შედეგებს.

იაკონიის ელჩის მოადგილემ ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში იაკონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტებიც დაათვალიერა.



ა ლ ი რ ნ ი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომოს
1931 წლის 5 იანვრიდან

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
ყოველკვირეული გამოშვება. № 10 (10496) 2 იანვარი, 2025 წ. ფასი 1 ლარი.

ბებონის გზა, ახალი ბაღი სოფელ კონჭკათში



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიის თემში გაშენებული სოფელია ნაღობილევი, სადაც 700 კაცზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. იგი ძირითადად მთავარიანია გამოირჩევა სილამაზით, ციტრუსოვანთა ბაღებით და კარგი ადამიანებით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ გელა არაშიძესთან ერთად სოფელ ნაღობილევის ცენტრში ყოფნისას გვითხრეს, რომ აქაურები ამჟამად სოფლის ზემოთ, ზეგანში სადაცაა ძირითადად ამ სოფლის მაცხოვრებელთა საგარეულობა გზას არემონტებდნენ.

– 150 ოჯახი სარგებლობს მაგ ზეგნით, იქ აქვთ ციტრუსის ბაღები, თხილის პლანტაციები, საყანე ფართობები. წვიმების შემდეგ გზის ცალკეულ მონაკვეთზე გავლა ტრანსპორტსაც უჭირს. მთხოვეს და „სერვისცენტრთან“ შეუამდგომლობა გაეუწიე, ტექნიკას ახმარენ, საკმაოდ რთული გზა მოსაწესრიგებელი – გვითხრა გელა არაშიძემ.

ადგილზე მივედი. „სერვისცენტრის“ კუთვნილი მიძე წონიანი ავტომანქანა გზაზე ინერტულ მასალას ჰყრიდა და ტრაქტორი ასწორებდა.

გაუსარდათ ჩვენი მისვლა იქაურებს: თენგიზ ცინცაძეს, გელა, ავთო კაპანაძეს, ავთო და ზაქარო მახარაძეებს, გენადი ლაბაძეს, სხვებს.

– დეპუტატი, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობა ამთ გვერდით ვართ. აქ, ცუდი ამინდების შემდეგ ვერ გაივლიდი. პირველ ეტაპზე სამშენებლო ნარჩენებს ვყრიო, შემდეგ ინერტულ მასალას შევიტანთ და გავასწორებთ. აღარ იქნება ათეულობით ოჯახისათვის ნაკვეთში წასვლა პრობლემა – გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა სოფელ მერიაში ზაზა ბაქანიძემ.

რა გაკეთდა ბოლო პერიოდში სოფელ ნაღობილევი? უპირველესად მუნიციპალური პროგრამით კაპიტალურად შეკეთდა

როგორ მიმდინარეობს გურიის რეგიონში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები?



ალიონი. ევროკავშირის მხარდაჭერით გურიის რეგიონში მიმდინარეობს პროექტი „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისათვის“, რომელიც ახორციელებს CENN, პარტნიორ ორგანიზაციებთან – ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან, დემოკრატიის ინსტიტუტთან და ქედის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფთან ერთად..

CENN-ის გარემოსდაცვითი პროექტების მენეჯერის ნინო გაფრინდაშვილის ინფორმაციით საერთაშორისო კონკურსის ფარგლებში 25 პროექტი დაფინანსდა ოზურგეთის, 13 – ლანჩხუთის, 12 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში.

ჩვენ ვწერდით კონკურსის შედეგების და მიმდინარეობის მიმართ გამოთქმული შენიშვნებისა და პროექტში გამარჯვებული პირების გასაჯაროების აუცილებლობის შესახებ. („ალიონი“ №5). მწვანე პოლემიკის შემდეგ ჟურნალისტებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კონკურსში გამარჯვებულთა ვინაობა ცნობილი გახდა და ამჟამად CENN-მა, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად მოაწყო ტური „გაიცანი ადგილობრივი ბიზნესი“, რითაც საშუალება მოგვეცა, გვენახა 5 ბენეფიციარი, რომლებმაც ამ ეტაპზე გამარჯვებული პროექტების რეალიზება შეძლეს.

პირველად ქ. ოზურგეთში, გრიშაშვილის ქუჩაზე მელა ჯინჭარაძის ალსტრომერიის სათბური მოვინახულეთ. სამომხმარებლო ბაზარზე ალსტრომერიის ყვავილზე მოთხოვნა დიდია და სათბურის მეპატრონის თქმით ვეგეტაციის შესაბამისად შეუძლიათ 3 დღეში ერთხელ 3 ათასი ცალი ყვავილი მიაწოდონ ბაზარს.

მელა ჯინჭარაძის თქმით, აღნიშნულ საკმიაობას სამი წელია ეწევა, მას შესწავლილი აქვს რეგიონის სამომხმარებლო ბაზარი, ნერგების დარგვის მისეული სტილი (მჭიდროდ რგავს ნერგებს) აქვს და ამ საჭიმიდან კარგ ფინანსურ სარგებელს ელოდება.

როგორც მან გვითხრა, პროექტით 11 ათასი ლარი მიიღო, რაც სათბურის აგების ღირებულების 85 პროცენტს შეადგენს. წელს, დიდთოვლობისას მართალია 315 კვადრატული მეტრი ფართობის მქონე სათბურს ნაწილობრივ მიაღდა ზიანი, მაგრამ მალევე აღადგინეს.

იგი ბიზნესის გაფართოებას გეგმავს და მომავალში ეზოში კიდევ ერთ სათბურს დააგეგმა. იმედოვნებს, რომ ინვესტორს იპოვის და თავად

კი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით წარმატებებს მიაღწევს.

შემდეგი ლოკაცია თათია გოგიბერიძის საოჯახო მარანი გახლდათ. იგი ქ. ოზურგეთში, იური სიორიძის ქუჩის დასაწყისში (სასამართლოს წინ) მჭიდროდ დასახლებულ უბანში მდებარეობს. აღნიშნული პროექტის ღირებულება 70 ათას ლარს შეადგენს და აქედან 53 ათასი ლარი დონორმა ორგანიზაციამ დაუფინანსა. როგორც გვითხრეს, ამ ოჯახს ღვინის დამზადების გამოცდილება აქვს და ღვინის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ გამოფენაზე ვერცხლის მედლიც კი აიღეს.

– აქ ჩვენ ვენახი არ გვაქვს. შემოდგომაზე ყურძენს ბუკისციხეში ვყიდულობთ, მოგვაქვს და ჩვენს საოჯახო

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

— მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;
— მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა — 200-200 ლარი;
— 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;
— ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;
— შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.
— პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
— მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30 ლარი;
— სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
— გახსენება, ნეკროლოგი — სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით — 3,20 ლარი,
სამი თვით — 9,60 ლარი,
6 თვით — 16 ლარი,
ერთი წლით — 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კოდექსი

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.

com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი,

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3

ტელ: 558 499 100 გაზეთი

რეგისტრირებულია

ოზურგეთის რაიონულ

სასამართლოში 18. 11. 2004

№44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა

„მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი
ოქმებათი აღიონზე

«ალიონით»

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ოზურგეთში



ოზურგეთში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით და მუნიციპალიტეტის მერიის ჩართულობით საზეიმოდ აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალი და ეროვნული გმირის, ზაზა დამენიას საფლავი გვირგვინებით შეამკეს.

თეატრალურ მოედანზე მრავალფეროვანი საბავშვო, შემეცნებითი, სპორტული და კულტურული აქტივობები მიმდინარეობს. მოქალაქეებისთვის სპეციალურად მოეწყო სივრცეები, სადაც დამთვალიერებლებმა სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებით მიღწეული პროგრესისა და მნიშვნელოვანი პროექტების

შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიულ დროს, ანსამბლებმა „რეხეული“ და „შემოქმედი“ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულეს. ფერადი ფოიერვერკის ფონზე, ოზურგეთის საღოტბარო სკოლის მოსწავლეებმა საქართველოს 10-მეტრიანი დროშა გაშალეს.

საზეიმო ღონისძიებებს გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ლურჯუშელიძე, ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, გურიის დელეგატის ბიუროს, ეკონომიკის სამინისტროს და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები საზეიმო კონცერტითა და ფოიერვერკით დასრულდება.

საპატიო ჩოხატაურელები გაიშვებიან



ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის — ნოე რამიშვილის ბიუსტი.

ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა დროშის აღმართვის ცერემონია. ასევე გაიმართა სპორტული აქტივობები: მსატრეული ტანვარჯიში, დოლი, მკლავჭიდი და ბაგირის გადაძლევა. გამარჯვებულებს სხვადასხვა პრიზები გადაეცათ.

ხელოვნების სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა ზალხური სიმღერებისა და ქორეოგრაფიული ნომრების წარმოდგენები.

დღის დასასრულს, ხელოვნების სასახლეში გაიმართა კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით. გამოვლინდნენ საპატიო ჩოხატაურელები: **გია ჩხიკიშვილი** — ისტორიკოსი, ჩოხატაურის გიმნაზიის დამარსებელი და დირექტორი 2011 წლიდან დღემდე ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავდაზნაურთა სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე და ისტორიის მასწავლებელი;

ელიო ბოლქვაძე — მუსიკოსი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი. 2013 წლიდან საქველმოქმედო ფონდი „ლირას“ დამფუძნებელი. შავი ზღვის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის დამფუძნებელი, რომელიც NESC -ს პატრონაჟით ტარდება. 1993 წელს მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია; 2019 წელს — პრემია „საგურამო“ მუსიკის დარგში; 2018

წელს — ღირსების ორდენი; 2015 წელს — UNESCO-ს მშვიდობის არტისტის წოდება;

ქეთევან ღუმბაძე — ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი; მწერალ ნოდარ ღუმბაძის ქალიშვილი. აქტიურად მონაწილეობს ჩოხატაურის საზოგადოებრივ და კულტურულ ღონისძიებებში. მისი ინიციატივითა და მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ზორციელდება სხვადასხვა კულტურული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

მუნიციპალიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის დაჯილდოვდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს დამსახურებული მოღვაწეები: **გოჩა ჯინჭარაძე, ვასილ ბუბუტყიშვილი, ავთანდილ მასრაძე, ელგუჯა მგელაძე**. განათლების სფეროს დამსახურებული მოღვაწეები: **რუსუდან ბერიშვილი, სულიკო კალანდაძე, დეზდემონა ლომინიშვილი, ლილი ჩხაიძე, ქეთევან მინდაძე**, ჯანდაცვის სფეროს დამსახურებული მოღვაწე: **ლევან მერელიშვილი**.

ღონისძიებას გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ლურჯუშელიძე**, ჩოხატაურის მერი **დავით შარაშიძე**, საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი კუჭავა**, ადგილობრივი თვითმმართველობისა და დელეგატის ბიუროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

საკრებულოს სხდომაზე

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგის სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** უძღვებოდა. სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 7 საკითხი განიხილეს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, დაბეჭდილი სამართლებრივი აქტების პროექტები, მათ შორის ოზურგეთში დავით აღმაშენებლის, აპოლონ წულაძის ქუჩებსა და დაბა ურეკში ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობაზე. მხარი დაუჭირეს განკარგულებას „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების“ შესახებ.

სხდომაზე ასევე განიხილეს



მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიშები.

კომპანია „ფოლად იოლი“-ს საწარმოს თანამშრომლები გაიშვებიან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში საპროტესტო აქცია გაიმართა. აქცია სამშენებლო კომპანია „ფოლად იოლი“-ს საწარმოს თანამშრომლებმა გამართეს. ორგანიზაციაში 200-ზე მეტი ადამიანი გაიფიცა და პროტესტის ნიშნად ბათუმი-ქობულეთი-შეგვეთილის ცენტრალური საავტომობილო გზა გადაკეტეს.

აქციის მონაწილეები სახელფასო ანაზღაურების დაგვიანებას აპროტესტებენ და აცხადებდნენ, რომ კომპანიიდან ექვსი თვის ანაზღაურება აღარ მიუღიათ.

გზის გადაკეტვას მალევე შეუმალა ხელი საპატრულო პოლიციამ, თუმცა აქციის მონაწილეებმა საბოლოოდ ფეხით მსვლელობა გამართეს და გზის გარკვეული ნაწილი გადაკეტეს.

საპროტესტო აქციაზე იმყოფებოდა უფლებადამცველი **თამაზ ბაკურიძე**, რომელიც პროტესტის მონაწილეებთან ერთად შეხვდა თურქული კომპანიის წარმომადგენლობას და დაბრება მიიღო, რომ მაქსიმუმ ოთხ დღეში ან ბაირამის დღესასწაულის დასრულების შემდეგ აქციის მონაწილეები თავიანთ კუთვნილ ანაზღაურებას მიიღებდნენ.

— **აღინიშნულ საწარმოში თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან დასაქმებულები, რომელთა შრომითი უფლებები ირღვევა და კომპანიასთან ურთიერთობაში**



თანამშრომლები უკვე წლებია არაერთ პრობლემას აწყდებიან. მოეუწოდებ ხელისუფლებას, დაიცვას მოქალაქეების უფლებები — განაცხადა მედიასთან თამაზ ბაკურიძემ.

სოფელ ნატანების მაჟორიტარმა დეპუტატმა **თამაზ ტულუშა** ვითიხრა, რომ დასახლებულ კომპანიაში ძირითადად უცხოელები და მეზობელი აჭარის რეგიონის მოსახლეობაა დასაქმებული და მომხდარზე ზუსტ ინფორმაციას არ ფლობდნენ.

კომპანია „ფოლად იოლი“ საქართველოში საავტომობილო გზებს და ავტობანებს აშენებს და სახელმწიფოსაგან ამ მიმართულებით არაერთი პროექტი აქვს მიღებული.

გუბერნატორი ლანჩუაშვილის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო



გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ლურჯუშელიძე**, ლანჩუაშვილის მუნიციპალიტეტის მერთან **ალექსანდრე სარიშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძესთან** ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო.

ჯურუყვეთის, სუფსისა და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდ-

ინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

სამუშაოები ზორციელდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ლანჩუაშვილის მუნიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობით. პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 4 816 953 ლარს.

როგორ მიმდინარეობს გურიის რეგიონში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები?



მოგვყავს და ჩვენს საოჯახო მარანში ეწურათ. ეცდილობთ ევროპული სტანდარტები დაცვათ. ახალი, კაპიტალური მარანი დაგეგმარება ამ სტანდარტების მოთხოვნების განხორციელებაში.

ჩამოსხმული გვაქვს ცოლიკაურის, ჩხავერის, ალადასტურის, მტკვანდილის ღვინოები. წელს საკმევლად დავეუმატებთ. სამომავლოდ საფერავსაც (ოღონს ხაშმის ყურძნისაგან) ჩამოვსხამთ – გვითხრა თათია გოგიბერიძემ.

იგი აქ ტურისტების მიღებას გეგმავს.

მკვლევარი ნანა თავდუმადე ამბობს, რომ რეგიონში სტუმარ-მასპინძლობის ინსტიტუტი უნდა განვითარდეს. ტურიზმი, განსაკუთრებით „ნელი ტურიზმი“ გააძლიერებს გურიის ბრენდირებას საერთაშორისო ტურისტულ ქსელებში. ეს მიმართულება, რომელიც ფოკუსირებულია ლოკალურ კულტურაზე, ბუნებრივ

მემკვიდრეობაზე და ავთენტურ გამოცდილებაზე, ხელს შეუწყობს რეგიონის ბუნებრივი და კულტურული რესურსების სწორად გამოყენებას, შექმნის ფართო ეკონომიკურ სარგებელს, წაახალისებს სოფლად დასაქმებას.

სოფელ მელექედურში თეა ცხომელიძის ფართობში მოცვის ინოვაციური მოყვანის პრაქტიკას გვეცანით.

– ერთი ჰექტარი მიწის ფართობი მაქვს. 2800 კვადრატულ მეტრზე გაშენებულია ინოვაციური, ინტენსიური ლურჯი მოცვის ბაღი. სპეციალურ ქოთნებში დარგული მაქვს 1500 ძირი ინგლისური ჯიშების („გლადიატორი“, „მავერიკი“) ლურჯი მოცვის ნერგი. ამდენივე რაოდენობის წამოვიღე სოფელ გურიანთაში არსებული სანერგედან „კოლიბრის“, „სვითჰარდის“ იტალიური ჯიშის ნერგები.

ცოტათი დიდმა თოვლმა კი

შეაფერხა, მაგრამ წელს ნაყოფმა ნიშანი მოგვცა, ვფიქრობ სამი წლის შემდეგ აქ 9 ტონა მოცვის მოსავალს მივიღებ. ვგეგმავ დარნარჩენ ფართობზეც მოცვის გაშენებას – გვითხრა თეა ცხომელიძემ.

მისი თქმით, იგი ამ პროექტის განხორციელებაზე კარგა ხანია მუშაობს. ბანკიდან საკმაოდ დიდი კრედიტის გამოტანა მოუწია. მარტო წყლის ჭაბურღილის მოწყობა (83 მეტრ სიღრმეზე გაბურღეს სპეციალისტებმა) 30 ათასი ლარი დაეხარჯათ. – ქოთნები მცენარეს მეტ შზის შუქს აძლევს, ხოლო საკვები ნივთიერებები ნიადაგში უფრო კონცენტრირებულად ნარჩუნდება. რაც მთავარია ავტომატიზირებული სარწყავი სისტემა გვაქვს და ნერგებს წყალი საჭიროების მიხედვით მუდმივ რეჟიმში მიეწოდება – გვითხრა მან.

ლონრი ორგანიზაციის წილი მის მიერ წარდგენილ 60 ათასიან პროექტში 45 ათას ლარს შეადგენს.

თუკი აქ წარმოდგენილ წინა ორ პროექტში ოჯახის წევრები ჰყავთ დასაქმებულნი, აქ, მელექედურში საჭიროებისამებრ დამხმარე მუშახელს იყენებენ და ცხომელიძის თქმით მოცვის კრეფის სეზონზე აქაურ მოსახლეობას დასაქმებენ.

სოფელ გამოდმა მელექედურში მღებარეობს ალექს შეწირულის ჩაის პლანტაცია და ჩაის საწარმო „ტაბა“.

– თავდაპირველად სამედიცინო განათლება მივიღე, შემდეგ 12 წელი ბრიტანეთში ვცხოვრობდი. მეწარმეობის ნიჭი აღმომაჩნდა, სამშობლოში დაბრუნდი და საოჯახო ჩაის ბიზნესი დავიწყე. შემეძლო ამ საქმეში ჩადებული თანხით სხვა ბიზნესი დამეწყო, მარკეტი გამეხსნა და უფრო იოლად გვეყვებოდნა ბიზნესი, მაგრამ

ამ საქმეს მოვიკიდე ხელი. 10 ჰექტარ ფართობს ვუვლით, 12 ადამიანი გვყავს დასაქმებული. თანამედროვე ტექნოლოგიებით, ბუნებრივად მოყვანილი ჩაის ფოთლებისაგან კაწარმოებთ უმაღლესი ხარისხის შავ, მწვანე და მოცვის ჩაის. ჩვენს პროდუქციას მომხმარებელი ჰყავს.

საგრანტო კონკურსში გავიმარჯვე და 48 ათასი ლარით დამაფინანსეს. შეგვეჩინა ჩაის სადგურსტაციო დარბაზი „ტაბა“, სადაც უცხოელ თუ აქაურ ტურისტებს შეეძლება ჩაის დეგუსტაცია. – გვითხრა ალექს შეწირულმა.

მან ჩვენთან საუბარში თავისი

მამულის მონახულება იყო, სადაც მეწარმე ინგა ლუმბაძემ 18 ათასი ლარი გრანტით საოჯახო ბიზნესი გააუმჯობესა და ტურისტებისათვის უფრო მიმზიდველი გახადა აქაური გარემო. (ინგა ლუმბაძის მამულზე მომავალშიც ვისაუბრებთ).

რაც მთავარია, ჟურნალისტების და არასამთავრობის პოლემიკამ გარკვეული შედეგი გამოიღო და ვფიქრობთ, ეს პროცესი გაგრძელდება და უახლოეს ხანში ევროკავშირის მიერ უფრო მსხვილი თანხებით დაფინანსებული პროექტების დასრულების ან მიმდინარეობის შესახებ სათანადო ინფორმაციას მიიღებს



ბაბუა – ოზურგეთის კვების მრეწველობის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე აკაკი შეწირული გაიხსენა, რომელ ტექნიკუმშიც მთავარი სპეციალობა – ჩაის მრეწველობის სპეციალისტების მომზადება იყო.

ამ დღის ბოლო ლოკაცია, სოფელ ბაღდადში ნიკო მამასახლისის

მოსახლეობა. ევროკავშირი კი, თუ როგორ იხარჯება გურიის რეგიონში მათ მიერ გამოყოფილი თანხები, გასაჯაროების წინააღმდეგი არ ექნება.

ბეტონის გზა, ახალი ბაღი სოფელ კონჭკათში



სოფლის დაწყებითი სკოლის შენობა, აღნიშნულ სკოლაში 20-მდე ბავშვი სწავლობს...

ნაღობილვეიდან გოგორეთში გადავინაცვლეთ, სადაც მთავორიან დასახლებაში უპირველესი გზებია. სოფლის პროგრამებით, სხვა დახმარებით ამ ლამაზ სოფელში 1,5 კილომეტრზეა დაგებული ბეტონის გზა, რომელიც სოფლის ძველი ტაძრის ნანგრევებამდე მიდის. აქაურები გოგორეთის ეკლესიის აღდგენას ფიქრობენ.

სავარაუდოდ გოგორეთის ეკლესია მე-17 საუკუნეშია აგებული ნატეხი ქვით. წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას გარეთ გაზიდული ნახევარწრიული აფსიდით. შესასვლელი დასავლეთიდან და სამხრეთიდან აქვს. საკურთხეველი დარბაზისგან გამოყოფილია მხრებით, ხოლო იატაკი ერთი საფეხურიით ამაღლებულია. გრძივი კედლების შუაში თითო პილასტრია. იატაკი ქვის ფილებითაა მოვებული და გადალესილია.

გურიის აჯანყების დროს, 1841 წელს ცნობილია გოგორეთის ბრძოლა. 1883 წელს ზვარბეთის საზოგადოების სოფელ გოგორეთის სკოლაში 75 ვაჟი სწავ

ლობდა. 1903 წელს სკოლაში გოგონათა განყოფილება გაიხსნა, ამ დროისთვის აქ უკვე 200 ვაჟი და 50 გოგონა სწავლობდა. სოფელში ამ დროს მოქმედებდა შენახველ-გამსესხებელი საზოგადოება და აფთიაქი.

XX საუკუნის 20-იან წლებში სოფელი უკვე მჭიდროდ იყო დასახლებული. 1928 წლისთვის სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა დაბლობში, ანუ მერეში დასახლდა.

სოფელ კონჭკათის შესახებ აღრევ ეწერდით. სოფელში ორი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება, ეს გახლავთ კონჭკათი-ორმეთის 6 კილომეტრიანი კაპიტალური ბეტონის გზა და სოფლის საბავშვო ბაღის კაპიტალური შენობა.

– დასრულდა კონჭკათი-ორმეთის გზის მშენებლობის პირველი ეტაპი. აივო ყველა საინჟინრო ნაგებობა და 16 სანტიმეტრი სისქის ბეტონის საფარი დაიოვ 2 კილომეტრ მანძილზე კონჭკათში და ერთ კილომეტრზე ორმეთში. მეორე ეტაპზე ორმეთში კიდევ 3 კილომეტრი გრძივი მეტრი გზის ბეტონის საფარი დაიგება. ეს 6 მილიონიანი გარდამავალი პროექტია,

საიდანაც 3 მილიონი ლარი უკვე გაიხარჯა – გვითხრა გელა აროშიძემ.

ორი წელი სოფელ კონჭკათში მუნიციპალური განვითარების ცენტრის დაფინანსებით საბავშვო ბაღი შენდება. მშენებელია ამხანაგობა „თბ. კაპიტალი“. შენობა ერთსართულიანია და მისი ფართი 600 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

– ძალიან კარგი პროექტია. თანამედროვე სტანდარტების ბაღი ექნება სოფელს და 50 ბავშვს მიიღებს – გვითხრა ოზურგეთის მერის წარმომადგენლის თანაშემწემ გოგიტა აროშიძემ. ტარიელ აროშიძემ გვითხრა, სტიქიისაგან დაზარალებული რამდენიმე ოჯახი გვენახა. სოფლის საჯარო სკოლის დირექტორს მინდია გოთუას სახლი მოვინახულებო. მოუხედავად იმისა, რომ სახლის ჯარგავალიც ჰქონდა, თოვლმა მინც ზიანი მიაყენა.

– კომისია იყო. თოვლმა შენობის სახურავი მიიმდე დახვანდა. სახურავის დემონტაჟი უნდა მოხდეს. გვითხრეს თუნუქით გადახურავენ – გვითხრა მინდია გოთუამ.

გელა აროშიძე ამბობს, რომ სოფელში 65 ოჯახს უნდა დაეხმარონ. თავდაპირველ სიაში 34 ოჯახი იყო, შემდეგი დათვალიერებისას 31 ოჯახი კიდევ დაემატა.

პირველ სიაში მყოფი კიდევ ერთი ოჯახი მოვინახულებთ. ავთო სადრადე სოფლის მექანიზატორი იყო. 1983 წელს მის ოჯახს სახლი დაეწვა და სოფლის დახმარებით ახალი ააგეს.

წელს დიდი თოვლის დროს სახლზე ავიდა თოვლის გადმოსაყრელად. დაღამებამდე მხოლოდ ნახევარი სახლის სახურავის გაწმენდა შეძლო. დამით სახლის მეორე ნახევრის სახურავი მთლიანად ჩაიხვრა. საბედნიეროდ ოჯახის წევრები არ დაზარალებულან.

– ვიცი, გადაძნურავენ. თხონა მაქვს, როცა გადახურება გვეწვიოთ – ასე ღაგვემშვიდობა ავთო სადრადე.

ინფრასტრუქტურა, სივრცითი მოწყობის სხვა ხარჯები

ალიონი. ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის I კვარტალის ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პაულე ჭყონამ წარმოადგინა.

მისი თქმით ბიუჯეტის დაზუსტების გათვალისწინებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი 1 აპრილისათვის განისაზღვრა 54 326,8 ათასი ლარით.

პირველი კვარტალის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2024 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 14078,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 25,9 პროცენტია. რა იყო პირველი კვარტალის შემოსავლები: ქონების გადასახდის გეგმა შესრულდა 1,89 %-ით; დღეს გადასახდი 22,37 %-ით; ბუნებრივი რესურსებით გარეგნობისათვის მოსაკრებლის გეგმა – 45,48 პროცენტით; შემოსავალი მიწის ფარიდან და მართვამი (უზუფრუქტი, ქარაწობა, სხვა) გაცემიდან – 13,4 %-ით; მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის – 25,63 %-ით; შემოსავლები ჯარიმებიდან, სანქციებიდან და სურავებიდან – 16,48 %-ით; არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 8,5 %-ით; შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 1,17 %-ით; არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან – 35,64 %-ით.

2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მიღებული ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 6 144,6 ათასი ლარი;

ა) სტიქია – 1 205,4 ათასი ლარი; ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 57,2 ათასი ლარი; გ) მოსწავლეთა ტრანსპორტირება – 273,8 ათასი ლარი; დ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად (ავტობუსები) – 513,3 ათასი ლარი; ე) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 39 59,9 ათასი ლარი; ვ) მფე-



ის დაფინანსება – 66,4 ათასი ლარი; საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები (UNDP-გური) – 66,8 ათასი ლარი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენს 54,326,8 ათას ლარს. ფაქტურაზე საკასო ხარჯებმა 2025 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგინა 16 967,6 ათასი ლარი, ე.ი. წლიური გეგმის 31,23 პროცენტია.

წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 19 57,4 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის დაფინანსებამ – 8 389,9 ათასი ლარი; დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსებამ – 10 44,6 ათასი ლარი; საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ – 2 898,0 ლარი; სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ – 19 20,7 ათასი ლარი; სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ – 710,6 ათასი ლარი; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსებამ – 46,4 ათასი ლარი. წელს სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 36,6 ათასი ლარი, საიდანაც ყველაზე მეტი

„მომწყურდი საოცარი კალით“

მეხ უთე წერილი – «ბატრუბული იმედები»



ოთხი, ხუთი წლის განმავლობაში ექიმ-ფონიატრებთან სიარულმა, მკურნალობამ, წამლებში და «წამლობაში» ფულის უშედეგოდ ხარჯვამ, ჩემს განწყობილებაზე რა თქმა უნდა უარყოფითი გავლენა მოახდინა, რამაც სერიოზულად დაამაფიქრა ჩემს მომავალზე, იმაზე თუ რა გზით უნდა წავსულიყავი?! უკვე კონსერვატორიის მხრე კურსიდან როგორც წარჩინებულ სტუდენტს დამინიშნეს პ.ი. ჩაიკოვსკის სტეჟენდია! საკმაოდ დიდი თანხა, რაც დიდ შეღავათს წარმოადგენდა ჩემთვის.

ჯერ კიდევ «ნიჭიერთა ათწლეულში» სწავლის დროს, როგორც «მომავალი მომღერალი» გატაცებული ვიყავი ოპერების შესწავლით და

ულავამ გადაწყვიტა მიემართა სულხან ცინცაძისთვის ნება დაერთო ჩემთვის ოფიციალურად შესწავლა ორ განყოფილებაზე! არა ოფიციალურად ჩემთან მეცადინეობის გაგრძელება უკვე არ შეიძლებოდა, თანაც როგორც სწავლა მეცადინეობა რაღაც გარკვეული პერსპექტივებიც დაინახა ჩემში და დავით ანდლუაძესთან ერთად მიმართეს სულხან ცინცაძეს, კონსერვატორიის რექტორს თხოვნით – ნება მოეცა ჩემთვის ერთდროულად შესწავლა ორ განყოფილებაზე, მაგრამ თხოვნაზე უარი მიიღეს, იმ მოტივით, რომ ჯერ ერთი განყოფილება უნდა დაამთავროს! მერე მხრე, მერე მესამე და ა.შ. თუ გინდ პენსიაზე გასვლამდე. აი, ესეც თქვენ, დიდი



ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის რეპეტიცია

შემეძლო პიანინოზე ბევრი ოპერის თავიდან ბოლომდე დაკვრა. ჩვენ სკოლას გააჩნდა უნიკალური მუსიკალური ბიბლიოთეკა, ოპერების კლავირებით, პარტიტურებით, მდიდარი მუსიკალური ლიტერატურით, მათ შორის ცნობილ დირიჟორებზე, სადაც მოყვანილი იყო სავარჯიშოები დირიჟორობაში.

მეც გადაწყვიტე ბედი მეცადა დირიჟორობაში! ეს აზრი ძალიან მოეწონა დავით ანდლუაძეს და შუამდგომლობა გამიწია

დიდიმ მირცხულავასთან, საქართველოში ერთერთ საუკეთესო დირიჟორთან!

1967 სასწავლო წლის განმავლობაში ვსწავლობდი ფლეიტის განყოფილებაზე მაშინ კახიანის კლასში და ერთდროულად არა ოფიციალურად ვსწავლობდი დირიჟორობას დ. მირცხულავასთან.

1968 წლის ივლისში დ. მირცხ-

ულენის დიდებული თეზისი: «სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა»

სულხან ცინცაძემ კარგადაც იცოდა, რომ ყველა განყოფილებაზე პატარა გამონაკლისების გარდა ერთი და იგივე საგნები ისწავლებოდა და არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა რა ნიშანს დაუწერდნენ მარქსიზ-ლენინიზმში მუსიკოსს, მთავარი ის იყო, რომ მუსიკოსი თავის სპეციალობაში ყოფილიყო საუკეთესო!

საერთოდ ამ წლებში მუსიკის სფეროში შეიქმნა რაღაც არა ჯანსაღი სიტუაცია! ასობით ადამიანი საშუალო მუსიკალური განათლებით თუ უმაღლესი მუსიკალური განათლებით ეძებდა სამსახურს თავისი სპეციალობით! მაშინ როცა მოთხოვნა სპეციალისტებზე იყო მინიმალური, მუშაობის მსურველები იყო ასევე მჭიდროდ! სამსახურში მოწყობა იქცა დიდ პრობლემად! ამუშავდა სისტემები «ნაცნობობის», «ქრთამის», «პირფერობის» ალმაცერად დაუწყეს ყურება «პერსპექტიული» ახალგაზრდებს, ისინი

მათ მიაჩნდათ მომავალ მეტოქეებად, ასეთ ახალგაზრდებს შორის აღმოჩნდა ჩემი ძმაც, რომელიც უკვე ითვლებოდა დავით ანდლუაძის საუკეთესო მოწაფედ!

თბილისში ამ დროს ბიუჯეტით დაფინანსებული იყო ოპერის თეატრი, სიმფონიური ორკესტრები, მუსიკომედიის ორკესტრი, საოპერო სტუდიის ორკესტრი, ასევე თეატრებში პატარა ორკესტრები სპექტაკლების მუსიკალური გაფორმებისთვის! ყველგან სამუშაო ერთეულები შეესებული იყო 100%-ით. ამბობდნენ, რომ სოპრანო ცისანა ტატიშვილი ოპერის თეატრში რომ მიეღოთ, გააფორმეს მეხანძრის თანამდებობაზე!


ახალგაზრდა, პერსპექტიული მომღერლები, კონსერვატორიის დიპლომებით ცდილობდნენ «სადებიუტო სპექტაკლის» სიმღერის უფლება მიეღოთ, მაგრამ სრულიად უშედეგოდ! ცნობილი გახდა, რომ დღემეზავლებით გამწარებული გურამ სხირტლაძე, მსოფლიოში ცნობილი მომღერლის, ქალბატონ ცერცვაძის საუკეთესო მოწაფე, რევოლუციური ხელში შეუვარდა ოპერის თეატრის დირექტორს დიმიტრი მჭედლიძეს კაბინეტში!

დანარჩენებმა სხვა გზა ამოიჩიეს: «სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს» და გაემგზავრნენ რუსეთის სხვა-დასხვა ქალაქებში, რომ ათეული წლების შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში! რამდენიმე მათგანმა დაბრუნების შემდეგ სახალხო არტისტის წოდებაც კი დაიმსახურეს!

ზოგიერთი ადამიანი, გაზეთ «ალიონი»-ს მკითხველი შეიძლება იტყვის გურულად – «ახლა გააჭყირა თვალით?» დიახ! სწორედ მაშინ გავაჭყირე თვალი! ბავშვობიდან, ღმერთის წყალობით ჩვენ შეგვხდნენ სრულიად კეთილი, პატიოსანი ადამიანები! მთელი ბავშვობა სიმღერით გავიარეთ, ხალხმა დიდი სითბო და სიყვარული გამოიჩინა ჩვენს მიმართ. «ნიჭიერთა ათწლეულში» გვასწავლიდნენ არა მარტო დიდი მუსიკოსები, არამედ შესანიშნავი ადამიანები, რომლებმაც აგვაშორეს ყოველგვარ სიცუდეს, ყოველგვარ სიმახინჯეს! ამიტომ ვიყავი პატიოსანი, გულუპყვრილი ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ყოველგვარი სიბინძურისგან გაუთიხნავი! მინდა შეგახსენოთ, რომ ლაპარაკია 1960 წლებზე!

1969 წლის ივნისში ჩავაბრე ბოლო გამოცდა სპეციალობაში და ექსტრენად – ხუთი წლის მაგივრად, ოთხ წელიწადში დავამთავრე კონსერვატორია ოქროს მედალზე, წითელი დიპლომით! ჩემთვის განკუთვნილი ოქროს მედალი ვერსად ვერ იპოვნეს, წითელი დიპლომი კი შეგიძლიათ იხილოთ!

როგორც ახალგაზრდა წარჩინებული სპეციალისტს განაწილება მომცეს თბილისში, მუსიკალურ სასწავლებელში ფლეიტის კლასის მასწავლებლად! ასევე როგორც წარჩინებულ ახალგაზრდა სპეციალისტს, რაიონიდან ჩამოსულს მეკუთვნოდა ერთ ოთახიანი ბინა თბილისში. კულტურის სამინისტრომ გადასცა ყველა საჭირო საბუთები ქალაქის საბჭოს თავჯდომარეს ამ საკითხის მოსაგვარებლად. მე და მამაჩემი რამოდენეჯერ შევხვედით ქალაქის საბჭოს თავჯდომარეს რომელიც გვარწმუნებდა, რომ მალე მივიღებდი ბინას. ასე



კონსერვატორიის წარჩინებულის დიპლომი

გრძელდებოდა წლების განმავლობაში!

ამ დროს კი სრულიად მოულოდნელად დაუჯერებელი ამბავი მოხდა, ისეთი თითქმის სუფთა ცაზე მეხი გავარდა, დააბნობინა მამია კახიანი, ჩემი მასწავლებელი, შესანიშნავი მუსიკოსი და ყველათვის საყვარელი ადამიანი. გამოირკვა, რომ კოოპერატიული სახლის ბინადრებმა მონილომეს თავიანთ ბინებში სახლის ტელეფონების შეყვანა და დაავალეს მამია კახიანს, როგორც კოოპერატივის თავჯდომარეს ეს საქმე მოეგვარებინა. ზოგიერთებმა სასწრაფოდ «დააზუსტეს» უკვე გამოცდილი ხალხისგან რა თანხა იყო საჭირო და ვის

სამწუხაროდ ჩემი ფიქრები არ გამართლდა, ასე გაგრძელდა 1973 წლის 12 მარტამდე, როცა სკოლის დირექტორმა ა. ხატიაშვილმა დამიბარა და მითხრა, რომ ბატონი მამია გათავისუფლდა და უნდა უკან თავის ადგილზე დაბრუნებოდა. მე იმავე დღესვე დავწერე განცხადება საკუთარი სურვილით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ! იხ. ფოტო შრომის წიგნაკის.

ახლა ისევ დაუბრუნდეთ 1969 წელს! ეს იყო გადამწყვეტი წელი, გზავდარდინი! საჭირო იყო გამერკვია ჩემი მომღერლობის საკითხი, ასევე საკითხი სად უნდა მეცხოვრა, სად და როგორ გამეგრძელებია ჩემი მუსი-

СВЕДЕНИЯ				О РАБОТЕ	
Сведения о приеме на работу и увольнении				работу, перемещениях по (с указанием причин)	На основании чего внесена запись (документ, его дата и номер)
№ записи	Год	Месяц	Число	3	4
3	1969	IX	15	Средняя Специализированная школа им. Нахичеванского педагога по	Приказ № 105 от 15/IX-69
4	1973	III	12	Обсужден от лигного заед	Приказ № 33 от 12/III-1973

ჩანაწერი შრომის წიგნაკში

შემეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა. ზუსტად ვერ გეტყვით, არ ვიცი ვისთან – კავშირგაბმულობის სამმართველიოს უმფროსთან თუ მინისტრთან მივიდა ბატონი მამია და ფულის გადაცემის დროს დაუფიქსირეს ქრთამის გადაცემის ფაქტი! ვფიქრობ, რომ ორგანოებს წინასწარ ქონდათ მიღებული გადაწყვეტილება ამ მოხელეს სამსახურიდან მოხსნის და არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა ვინ მიუტანდა მას ქრთამს! სამწუხაროდ ასეთი არასასიამოვნო ამბავის მონაწილე გახდა ბატონი მამია!

სექტემბრის დასაწყისში მე გამომცეს ჩემი მასწავლებლისგან თხოვნა მის მაგივრად დამეწყო მუშაობა «ნიჭიერთა ათწლეულში» ფლეიტის კლასის პედაგოგად, რომ გათავისუფლებამდე შექმნას მისთვის საშუალო ადგილი! 1969 წლის 15 სექტემბრიდან დავიწყე მუშაობა «ნიჭიერთა ათწლეულში» პედაგოგად. მაშინ სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ ბატონი მამიას მალე შეუმსუბუქებდნენ დანაშაულს და გაათავისუფლებდნენ, მაგრამ

კალური გზა?! საბოლოოდ გადაწყვიტე ჩემი სწრაფვა გამეგრძელებია დირიჟორობის გზაზე! ვინაიდან საქართველოში მაშინ არ არსებობდა ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი, ჩავიფიქრე, რომ სტუდენტებისა და სკოლის მოწაფეებისგან მე შემეძენა ასეთი ორკესტრი!

ჩემი ჩანაფიქრი გაუზიარე ჩემზე უფროს, გამოცდილ ადამიანებს, ვიფიქრეთ ყველა სირთულეზე, მათ შორის ორკესტრისთვის სარეპეტიციო სივრცეზე, ასევე დიდი მოცულობის ინსტრუმენტებზე: არფაზე, რიილზე, ლიტარებზე, შესაფერის საორკესტრო რეპერტუარზე და ა.შ. საბედნიეროდ კიდევ იყვნენ კეთილი ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ახალგაზრდებს დახმარებოდნენ მათ ჩანაფიქრების მიღწევაში. ვინ იყვნენ ეს ადამიანები და როგორი ბედი ეწია ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრს ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შეძევ წერილში.

ზია ბეშიტაიშვილი
(გაგრძელება იმხმამ)

ის რაც აქამდე არ ვიცოდი...



დღევანდელ წერილს იერემიას გოდების დავიწყებ.

„გოდება იერემიასი“ მე სტუდენტობისას წავიკითხე...

თუ არ ვცდები მეხუთე კურსზე...

სწორედ იმ წელს გამოვიდა „ძველი აღქმა“ რამდენადაც მასსოვს.

წელი 1990.

და რამდენადაც მასსოვს „ახალქართულით“ იყო დაბეჭდილი მე რომ წავიკითხე ის „ძველქართულითაც“ წავიკითხე „გოდება იერემიასი“ სრულად ანუ ძალიან თუ არ ვცდები სუთივე თავი.

„და იქნა შემდგომად წარტყუნისა ისრაელისა და იერუსალიმისა მოძრებისა, და ჯდა იერემია მტირალი. და გოდებდა გოდებასა ამას იერუსალიმსა ზედა და თქუა...“

და რაც თქვა იქამდე ჩვენ ჩვენი ახალი ქართულით ვთქვათ: ისრაელისა და იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ დაჯდა იერემია, ტიროდა და გლოვობდა იერუსალიმის გამო და თქვა...“

„ალეფ. ვითარ დაჯდა მარტო? ქალაქი განძრავებული ერთია? იქნა, ვითარცა ქურივი განძრავებული ნათესავთა შორის. მძთავრობა? სოფლებსა შორის იქნა მოხარკედ.“ ანუ „როგორ მარტო დარჩა ქალაქი, ოდესდაც ხალხმრავალი, ზის ქერივი ქალივით; ხალხთა ქალბატონი და მხარეთა დედოფალი მოხარკე შეიქნა.“...

და ასე მთელი 5 თავი, ჯერ ახალქართულად და შემდეგ ძველქართულად წავიკითხე „გოდება იერემიასი“ სხისი რჩევით და მრჩეველი ჩემი იყო მეტად განათლებული ბევრ საკითხში და მით უფო, განათლებულია ახლა.

„გოდება იერემიასი“ შემთხვევით, რომ არ გამხსენებია დავით გურამიშვილის „დავითანზე“ წერისას დიდად გამოსაცნობი რომ არაა, უდაო ფაქტია.

რაც შეეხება, ამ კავშირს, მასზე აუცილებლად გაგიმხელთ...

თუმცა, მე კი არ გაგიმხელთ, ბატონ გიორგი წერეთელს „მოვუსმენთ“ ერთად.

ოლონდ, ჯერ წინა წერილში მოყვანილ ერთ აბზაცს გაგახსენებთ კიდევ ერთხელ:

„შინაგანმა უთაგბოლოებამ, ერისთვის უწესო მოქმედებამ სახელმწიფო უფლება და თვითონ მეფეებიც ისე დაასუსტა, რომ სათამაშოთ გახდა. ამითი სპარსეთის გაქნილი ბიწიერი პოლიტიკა ძალიან კარგათ სარგებლობდა: ის ზან მეფეების მხარეს იჭერდა, ზან იმათ ქვეშევრდომებისას და ამ სახით ცდილობდა საქართველო თავისისავე ხელით დაეკლა. ამასობაში დადგა მეოვრამეტე საუკუნე დ საქართველოს მმართველათ გახდა ვახტანგ მეექვსე. ეს იყო უკანასკნელი ჟამი საქართველოს თავისუფლებისა: ცალკე

სპარსეთმა, ცალკე ოსმალმა და შინ ლეკებმა ეს ქვეყანა უკანასკნელ მდგომარეობაში ჩაადგეს. აი, ამ დროს გაჩნდა დავით გურამიშვილი, რომელი მაც სარწმუნოებით გამტკიცებულის გრძნობით მოსთქვა სამშობლოს ბედი და ამით ნაციონალური პოეზია მაღალ სარისხზე დააუენა. — დ. გურამიშვილს ძალიან ადრე დაუტრიალდა ბედის ჩარხი უკუღმა...“

მოდით, უკუღმა დატრიალებულ ბედის ჩარხზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა...

ამჯერზე, ბატონ ლევან ბერძენიშვილს „ვუსმენთ“ სტატიიდან „უცნობი გურამიშვილი“ („ლიბერალი“, 24 მაისი, 2018 წელი)

„გურამიშვილების გვარი ზევდგინიძეების გვარიდან, კერძოდ კი გურამ ზევდგინიძისგან მომდინარეობს. გურამი წიწამურის ბატონი ყოფილა. საქართველოს მეფეები ზევდგინიძეების ამ შტოს ძალიან ხშირად იხსენებენ, როგორც დამსახურებულ შტოს. სწორედ აქ, გურამიანთ კარში აქვს გატარებული ბავშვობის მშფოთვარე წლები დავით გურამიშვილს. შესაბამისი სასკოლო განათლება ვერ მიიღო, რადგან, როგორც თავად იხსენებდა, თურქ-ყიზილბაშობა გვადგა თავს და იკლო სწავლამა: „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ლილივი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი!“ საქართველოში ცხოვრება შეუძლებელი გახდა.

1727 წელს ემწვილი კაცი, 22 წლის დავითი აზნაურ გარაყანიძის ქალზე დაქორწინდა. ლეკიანობის შიშით ოჯახი თითქოს უფრო უსაფრთხო ადგილას სოფელ ლამის-ყანაში გადასახლდა, თუმცა სწორედ აქედან მოიტაცეს გურამიშვილი.

მისი ბიოგრაფია ერთი დიდი, სერიოზული რომანია, რომელიც ელოდება მადლიანი, კარგი ქართველი მწერლის ხელს. მისი ამბავი, დაწერილი, როგორც ბიოგრაფია, თავისთავად საინტერესოა და უკვე არსებობს კიდევ, მაგრამ ეს ბიოგრაფია უნდა დაიწეროს როგორც რომანი, იმიტომ, რომ არის კიდევ რომანი.

გურამიშვილის ისტორია, ფაქტობრივად, ერთი კაცის თავს გადამხდარი საქართველოს ისტორიაა. გურამიშვილი უცნობი სწორედ იმიტომ, რომ ვიღაც ფიქრობს, ერთი გაჭირვებული კაცის ამბავს ვკითხულობთ, რეალურად კი ეს საქართველოს ამბავია. მან ასე დაინახა თავისი თავი. „დავითიანი“ ამბიციური პროექტია საქართველო ტყვეობაში, საქართველო თავდასხმაში, საქართველო, რომელიც იბრძვის.

საგულისხმოა, რომ გატაცების შემდეგ გურამიშვილი ყოფას არ შეურიგდა და მხოლოდ ლოცვა-ვედრების იმედად არ ყოფილა გაიქცა. დაიჭირეს და სასტიკად აწამეს, უარეს დღეში ჩაადგეს. ვერც ამ მარცხმა გატეხა მისი ურყევი ნება. ესეც საქართველოს გურამიშვილისეული პორტრეტი საქართველო უტეხია, საქართველო მუდამ ბრძოლაშია.“

მოდით, „მუდამ ბრძოლის“ ამბავი გვერდზე გადავდოთ, „დავითიანს“ დავუბრუნდეთ და იერემიას გოდებას დავუბრუნდეთ.

სიმართლე გითხრათ, რომ არა გიორგი წერეთლის „წინათქმა“ საერთოდ, არ კი არა ვერ, დავინტერესდებოდი ამ კავშირით.

„დავითიანს“ ცხადათ ეტყობა ებრაული პოეზიის გავლენა. ეს პოემა არის მგზავსი იერემიის გოდებისა. როგორც იქ. ეგრეთვე დავითიანში“ ისმის ტირილის ზარი სარწმუნოების შერევისთვის და სამშობლოს აოხრებისთვის. პოემაში ნათლად სჩანს, რომ დავით გურამიშვილს ძველი აღთქმა ანუ ნაციონალური ებრაული ლიტერატურა კარგათ სცოდნია. და რადგან იმისი პოეზია თვისის ხასიათით მონათესავეა ებრაულის პოეზიისა, ამისთვის პირველი არ ასცილებია მეორის ნაკლულევანებას. ეს ნაკლულევანება შეიცავს მისს ერთნაირობას, სულ ერთსა და იმავე საგნისადმი ღალადებას. მაგრამ არამ-

ცთუ სულ ერთ კილოზე დადადება, არამედ ამომავალი მზის მუდამ ცქერაც მოსწონდება კაცს. ამისთანა ერთნაირობით ჩლუნგდება მკითხველის ხალისი და მგრძნობელობა მხოლოდ იმ თექვსმეტი თავის კითხვაში, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ მაგარამ ჩვენი პოეტი საცა თვითონ დაღისტნის ადგილებში მგზავრობაზე და თავის მრავალგვარ შემთხვევებზე ლაპარაკობს, იმის შესახებ კი ვერ ვიტყვით, რაც ზემოთ წარმოვსთქვით...“

ორჯერ წასაკითხი მოსაზრებაა...

მეტჯერ წასაკითხი მოსაზრებაა...

ძნელად დასათანხმებელი...

გოდების ნაწილს, რომ ეხება იმ ნაწილზე ვამბობ და სულ სხვაგან, უკვე ნაცნობ წერილს მიუბრუნდები.

წერილის ავტორი ნოდარ ნათაძე.

წერილის სათაური: „დავითიანის“ შინაარსი, აღნაგობა და ძირითადი მოტივები“...

მიბრუნების ადგილი... მოდი, ასე ვიტყვი „ირონია“, რომელიც ბატონი ნოდარის მოსაზრებით და ჩემდა გასაკვირად „გურამიშვილის ამ პოემაში შემთხვევითი არ არის. „დავითიანი“ ჟანრით ხომ ბუკოლიკაა, ამ სახის ნაწარმოები კი XVIII საუკუნეში ძალიან ძნელად თუ აუქცევს გზას ირონიას ან მოქმედ პირთა სულისკვეთების, ან ავტორის საკუთარი სულისკვეთების, ან ორივეს მიმართ.“

ბუკოლიკასაც განვმარტავ თუ არ მიწყენს „ალიონის“ განათლებული მკითხველი...

ერთი სული მაქვს გავიღო რომელ განმარტებას „ამოვადგეს გუგლი“...

პირველი, ვიკიპედიიდანაა...

მეორე, მესამე ეროვნული ბიბლიოთეკის ორი დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთის შემავსებელი რესურსიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკის ორი რესურსიდან პირველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდანაა“, მეორე „ბიბლიოვიკიდან“ და მაინდ, მე განმარტებას სულ სხვა ლექსიკონიდან მოვიტან.

ჯერ ერთი, უფრო სრულია და მეორეც, ჩემი კოლეგა ახლა აციფრულებს და მინდა ასე გადავუხადო მადლობა მეტად ნაყოფიერი შრომისათვის.

„ბუკოლიკა

ბერძნ. -ლათ., მრავლ.:

1. მწყემსური სიმღერები (ბერძ. ბოცოლოს „მწყემსი“);

2. ვირგილიუსის რამდენიმე ლექსის საერთო სახელწოდება; აქედან: ბუკოლიკური პოეზია ვიწრო მნიშვნელობით: მწყემსური პოეზია; ხოლო ჩვეულებრივ ასე ეწოდება პოეზიას, რომელიც გადმოგვცემს სურათებს სოფლური მშვიდობიანი ცხოვრებიდან; ბუკოლიკური პოეზიის ფორმა შესაძლებელია ლირიკული, მოთხრობითი, დრამატიული და შერეული; ასეთი პოეზიის უძველესი და საუკეთესო ნიმუშები მოგვცა ბერძენმა პოეტმა, თეოკრიტოს სირაკუზელმა (III ს. ქ. წ.); მას ჰბამავდა რომაელი პოეტი ვირგილიუსი.“

სხვათაშორის, „ბუკოლიკაზე“ , როგორც ლიტერატურულ ჟანრზე ბატონი ნოდარიც საუბრობს და მე რა უფლება მაქვს აქ არ მოვასმენინოთ?!

„ბუკოლიკა, ანუ მწყემსთა ცხოვრებიდან აღებული სასიყვარულო სიუჟეტების თხრობა, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ცნობილი ლიტერატურული ჟანრია. მისი დანიშნულება იყო, მკითხველი მოეხიბლა განათლებას მოკლებული მარტივი ადამიანების გულმართალ გრძნობათა გადმოცემით, შეეყვარებინა მისთვის ბუნება, ალალი ურთიერთობები, პირობითობებისგან თავისუფალი ცხოვრება. ერთერთი ყველაზე მაღალმხატვრული და ცნობილი ნაწარმოები ამ სახისა – ფსევდოლონგინოსის „დაფნისი და ქლოე“ – ელინისტურ ეპოქას ეკუთვნის.“

„დაფნისი და ქლოეზეც“ უნდა ვთქვა, რამდენიმე სიტყვა.

სხვათაშორის, „დაფნისი და ქლოე“ ასპი-

რანტობისას წავიკითხე.

ეროვნულ ბიბლიოთეკის სამეცნიერო დარბაზში ჩემი ფილოლოგი კითხულობდა.

სადისერტაციო ნაშრომს წერდა იმხანად და ეტყობა დასჭირდა...

დავიწყე და დავიწყე...

კი მრცხვენია ვთქვა, მაგრამ...

ვის ახსოვდა მეგობარი, შიმშილი და კიდევ უფრო წყურვილი?!

დავიწყე და იქვე დავასრულე!

სხვათაშორის, სხვათაშორის, „დაფნისი და ქლოე“, მეორედ, სულ სხვაგან, მაგრამ თითქმის იმავე ადგილზე შემხვდა...

დრო 2004 წელი, სექტემბრის ბოლო ოქტომბრის დასაწყისი.

ადგილი?!

თქმაც არ უნდა ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობის განყოფილება.

მიზეზი თუ მიზეზი?!

„ცისკრის“ ანალიტუკური ბიბლიოგრაფიის შედგენა“

ო, რა გულიანად მუშაობდნენ ჩემი კოლეგები!

გულიანად და სწრაფად!

მე ახლა ჟურნალ „ცისკრის“ 1 9 6 3 წლის მე-10 ნომრის 90-ე გვერდს „ვსქროლავ“.

არა, უკვე კითხვს ვიწყებ!

დედაჩემი გაკვირვებული მიყურებს და ჩემთან ერთად კითხვას იწყებს:

„დაფნისი და ქლოე“ ბუკოლიკური რომანია. მისი ავტორი, ლონგე, წარმოშობით ლესბოსელია. ვარაუდობენ, რომ იგი ცხოვრობდა ან II საუკუნეში. ელინისტურ რომანში „დაფნისი და ქლოე“ მოთხრობილია მწყემსებში აღზრდილი ორი ბავშვის თავგადასავალი.

„ლესბოსზე რომ ვნადირობდი, ნიმფებისადმი შეწირულ ჭალაში საუცხოო სანახაობა ვიხილე, ყველაზე მშვენიერი, რაც კი ოდესმე მინახავს თვალწარმტაცი სურათი, ამბავი სიყვარულისა. ეს მშვენიერი ჭალა უხვად შეემკო ხეებს, ყვავილებსა და მდინარეს; ყველა ხესა და ყვავილს ერთი წყარო ასაზრდოებდა. მაგრამ კიდევ უფრო თვალს ახარებდა სურათი; იგი ხელოვნების საუცხოო ქმნილება, სიყვარულის გამოხატულება იყო. ასე რომ აქ მრავალი მნახველი მოდიოდა. უცხოელებიც, რომლებსაც მასზე მოსმენილი ამბავი იზიდავდა. ნიმფებს ლოცვას აღუვლენდნენ, ხოლო სურათით ტკბებოდნენ. ამ სურათზე კი აი, რისი ხილვა შეიძლებოდა: ჯგუფი ქალებისა მშობიარობს, მეორე ჯგუფი ახალშობილ ბავშვებს საბურველით ამკობს; მიტოვებულ ბავშვებს ძიძაობენ ნერბები და წალები; აღმზრდელები არიან მწყემსები. მერე ენახე შეყვარებული ქალ-ვაჟი, მეკობრეების თავდასხმა, მტრის შემოსევა. ბევრი სხვაც ენახე და ყველაფერი გამსჭვალული იყო სიყვარულით; მე, ალტაცებული, შემოპყრო სურვილმა, რომ სურათს გავჯიბრებოდი და მოთხრობა დამეწერა. მოვინახე კაცი, რომელმაც ამ სურათის შინაარსი გამაგებინა, ბევრი ვიშრომე და ოთხი წიგნი დავწერე ეროტის, ნიმფებისა და პანისთვის შესაწირად. სოლო ყველა ადამიანის გულის გასახარად, დაავადებულის განსაკურნავად, მწყურარის სანუგეშოდ; ვისაც უყვარდა, სიყვარულს მოავონებს, ხოლო ვისაც არ ჰყვარებია, სიყვარულს ასწავლის. სიყვარულს ხომ ვერავინ გაქცევია და ვერც გაექცევა, სანამ სილაშხაზე არსებობს და მის დასანახად თვალი გვაქვს ნაბოძები, მე კი ღმერთმა გონება შემინარჩუნოს და სხვისი სიყვარულის ამბის დაწერა შემაძლებინოს.

შეძლო ლონგემ და, მე თუ მკითხავთ, არაჩვეულებრივად თარგმნა, იროდიონ ქავყარაძემ, რომელიც მიუხედავად იმისა ბათუმშია დაბადებული, გურული უნდა იყოს!

გიო პილაძე

შპს "საქსტელკომ" -ს მიერ მომსახურების მიწოდებისას მოხდის ინფორმაციის გაცემა, რომელიც შეეძლება იყოს ინტერესების კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის შემცვენი. ინფორმაციის გაცემა მოხდება შემთხვევით, თუმცა არასაქონლო ინფორმაციის გაცემა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გაცემა მოხდება საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით.

ხელმძღვანელი დალი კლაძე, დაბ. წარუვცის საჯარო სკოლის ეკო-კლუბი „მშენებ მომავალი“ ხელმძღვანელი მუცა ობოლაძე, ოზურგეთის წმინდა გაბრიელ კისკიასის სასკოლოს მართლმადიდებლური სკოლის ეკო-კლუბი „Green children“ ხელმძღვანელი ასმათი ლომაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკისციხის საჯარო სკოლის ეკო-კლუბი „დასუფთავე და გაშშენე“ ხელმძღვანელი ნათია ხუცესკია, სოფელ ანელოს საჯარო სკოლის ეკო-კლუბი „ეკო არია“, ხელმძღვანელი ნინო ყარაჯაშვილი;



პროექტის „ახალგაზრდები ენერგოვეც-ტურობისთვის“ მიზნების მიღწევის ეფექტურობის გასაზრდოვებლად იქცა ბუკისეის საჯარო სკოლის ეკო კლუბის დასაფუთავად გააწესეს სწავლის, სპორტის, სპიტიკის ენერგო სექტორის რეგულირების პროგრამის ფარგლებში (GESRP), გახდა ენერგოვეცტურობის სპეციალისტი“ მონაწილეობა სკოლაზე ბანაკში ანაკლიაში deJa-vu hostel&camping sector-ში დაცულ საბანაკ ტრეტორიაზე მომლოც მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის შუქურებით, საგანმანათლებლო და სპორტული


„კამანა „ახალგაზრდები ქვერეოვემბ“
 ურბისთესი“ გულისხმობდა, კოლონოტორ
 უსაფრთხოების განახლებად ქვერეოვემბ
 რესურსების ათვისების შესაძლებლობას, მათ
 შიორის შიის რესურსების გამოყენებას. ვიზე
 დოვებს, შიის ბატარეებზე მოქმედებ პირდაპირ
 ული დამტკიცები მალე ყველა სოფლის თუ
 რეგიონულ ცენტრში იქნება, მათ შიორის ჩვენ
 სკოლის მამებარმა, რიხი საჭიროებებს
 გასულში ზამთარამც ნათლად დავგანანა“ –
 განაცხადა ოზურგეთის წმინდა კაბილ
 სიკიკობისის სასულიერო მართლმადიდებ
 ბლორე სკოლის პრეზიდენტი ირაკლი სარაძე.

დავინანსებული ფაქტი

[illegible][illegible]

საქართველო 1907-1914 წლებში

ქართველი საზოგადოება 1905 წლის რევოლუციის უმძიმესი



1902 წელს შექმნილმა რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიამ 1906 წელს დაამტკიცა თავისი პროგრამა. ცალკე გამოკეტილი ადგილი პროგრამას ეროვნული საკითხისათვის არ დაუთმო, თუმცა ეროვნული პროგრამის შინაარსზე შეიძლება ვიმსჯელოთ პროგრამის ცალკეულ მუხლში არსებული ცნებებით: „რაც შეიძლება ფედერატიულ საფეხელის უფრო ფართო შემოღება კერძო ეროვნებათა ურთიერთობაში; მათ უნდა მიენიჭოს ნამდვილი უფლებები თვითგამორკვევისთვის“; „ერების თანასწორობა“.

1908 წელს ვენაში გერმანულ ენაზე გამოცა ოტტო ბაუერის (1881-1938) წიგნი „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, რომლის რუსული თარგმანი 1909 წელს გამოქვეყნდა სანკტ-პეტერბურგში. 1909 წელს პეტერბურგში რუდოლფ შპინგერის (1870 —?) წიგნის „ნაციონალური პრობლემა“— რუსული თარგმანი დაიბეჭდა. საინტერესოა ამ ორი ცნობილი თეორეტიკოსის აზრი ეროვნული საკითხის გადაჭრის გზებზე. რუდოლფ შპინგერი წერდა: „ჩვენ აქ უბასუხოდ ვტოვებთ საკითხს — შესაძლებელია თუ არა საერთოდ ეროვნებათა სახელმწიფო და იძულებული არიან თუ არა, კერძოდ, ავსტრიის ეროვნებანი შექმნან ერთი, პოლიტიკურად მთლიანი რამ; ამ საკითხებს ჩვენ გადაწყვეტილად ჩავთვლით. იმისთვის, ვინც სხენებულ შესაძლებლობას და აუცილებლობას არ ეთანხმება, ჩვენი გამოკვლევა, რა თქმა უნდა, უნდადგოდ იქნება. ჩვენი თემა ამოხსნის ეს ერები იძულებული არიან ერთად აარსებონ; რა უფლებები ფორმები მიეცემა მათ შესაძლებლობას, ყველაზე უკეთ იცხოვრონ.“ როგორც ვხედავთ, რუდოლფ შპინგერი ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობას ხელშეუხებლად მიიჩნევს, ამასვე ამტკიცებს ოტტო ბაუერიც: „ჩვენ გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ ავსტრიის (იგულისხმება ავსტრია-უნგრეთის იმპერია — ვ. გ.) ერები დარჩებიან იმავე სახელმწიფოებრივ კავშირში, რომელშიც ისინი ახლა ცხოვრობენ, და კეთილშეშობით, როგორც იქნება ამ კავშირის ფარგლებში ერების დამოკიდებულება ურთიერთშორის და ყველა მათი დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი?“ ამდენად, ოტტო ბაუერისთვისაც ავსტრიის სახელმწიფოებრივი ერთიანობა უმთავრესი პრობლემაა. საინტერესოა ოტტო ბაუერის აზრი ნაციონალური ავტონომიის შესახებ: „რას-აგვირველია, ძნელი საფიქრებელია, რომ ნაციონალური ავტონომია შედეგი გახდეს დიდი გადაწყვეტილებისა, გაბედული გადაწყვეტილების მოქმედებისა. ავსტრია თანდათანობით წავა ნაციონალური ავტონომიისაკენ, ნელი და მტანჯველი პროცესით, მძიმე ბრძოლით, რომლის გამო კანონმდებლობა და მმართველობა

ქრინიკული სიღამის მდგომარეობაში იქნებიან, არა, დიდი საკანონმდებლო აქტის გზით კი არ შეიქმნება ახალი სახელმწიფოებრივ-უფლებრივი წყობილება, არამედ ცალკეული ოლქებისათვის, ცალკეული თემებისათვის გამოცემული მრავალი ცალკეული კანონით.“ დაასლოებით იმავს იმეორებს რუდოლფ შპინგერიც: „მე მშვენიერად ვიცი, რომ ამგვარი ინსტიტუტები (ნაციონალური ავტონომიები — ვ. გ.) იქნებიან არა ერთ წელიწადში და არა ათეულ წელიწადში. მარტო პრუსიის მმართველობის რეორგანიზაციას დიდი დრო მოუწდა(...). პრუსიას ორი ათეული წელი დასჭირდა, რომ საბოლოოდ ჩამოეყალიბებინა თავისი ძირითადი ადმინისტრაციული დაწესებულებანი. ამიტომ ნუ იფიქრებენ, თითქმის მე არ ვიცი, რამდენი დრო და რამდენი სიმძლისი გადალახვა იქნება საჭირო ავსტრიისათვის.“

მრავალეროვან სახელმწიფოში ეროვნული საკითხის გადაჭრის სირთულეებზე მოუთხრობდა რუდოლფ შპინგერი: „ავსტრიის პარლამენტის უნაყოფიერება მხოლოდ იმით არის გამოწვეული, რომ ყოველი რევორმა წარმოშობს ნაციონალური პარტიების შიგნით წინააღმდეგობებს, რომელნიც არღვევენ მათ შეკავშირებას, და ამიტომ პარტიების ბელადები გულმოდგინედ გაურბიან ყოველივე იმას, რასაც რევორმების სუნი უდის. ავსტრიის პროგრესი საერთოდ წარმოსადგენია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერებს ხელშეუხებელი უფლებები მიენიჭება მიეცემათ“. ამასვე ამტკიცებს ოტტო ბაუერიც: „ნაციონალური მშვიდობა საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოსათვის. სახელმწიფო სრულებით ვერ მოითქმის, რომ კანონმდებლობა შეწყვეს ყოველ სოციალური საკითხის — ენის საკითხის გამო, სადმე ნაციონალურ საზღვარზე ადგილობრივად ადამიანთა ოდნავი დავის გამო, ყოველი ახალი სკოლის გამო.“ მაშინა გზა არსებობს მრავალეროვან იმპერიაში ერთა უფლებების დაცვისათვის? რუდოლფ შპინგერი გვარწმუნებს: „ეროვნებას არავითარი არსებითი კავშირი არ აქვს ტერიტორიასთან; ერები ავტონომიური პერსონალობის კავშირში არიან.“ ამვე საკითხის ოტტო ბაუერი ასე აკონკრეტებს: მრავალეროვან იმპერიაში ერს „მნიშვნელოვანი არ აქვს განსაკუთრებული მატონობა რომელიმე განსაზღვრულ სფეროში“. რუდოლფ შპინგერი აუცილებლად მიიჩნევს რამდენიმე პრინციპის განხორციელებას: „საჭიროა მიეცეთ ეროვნებებს სწორი ორგანიზაცია, აღეჭვრეთ ისინი უფლებამოსილებით“; „კანონის შექმნა ადვილია, მაგრამ ვნა ეს ისე მოქმედებს, როგორც მისგან მოვლიან“, „თუ სურთ კანონი შექმნან ერებისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა შექმნან თვით ერები“; „ეროვნებათა კონსტიტუირების გარეშე ნაციონალური უფლების შექმნა და ნაციონალური შედეგის თავიდან აცილება შეუძლებელია“. მაგრამ როგორ უნდა შეიქმნას ერები? როგორ უნდა დადგინდეს, რომელ ერს ეკუთვნის ესა თუ ის პირი? რუდოლფ შპინგერი გვარწმუნებს: „ეს მიეკუთვნება უნდა დაწესდეს ნაციონალური მატრიკულებით; თვითივე ოლქში მცხოვრებმა უნდა გამოაცხადოს, თუ რომელ ერს ეკუთვნის“. ამ შემთხვევაშიც ოტტო ბაუერი სავსებით ეთანხმება რუდოლფ შპინგერს: „პერსონალური პრინციპი გულისხმობს, რომ მოსახლეობა გაიყოფა ეროვნებათა მიხედვით(...), სრულწლოვანი მოქალაქეების თავისუფალი განცხადებითა საფუძველზე.“

ოტტო ბაუერისა და რუდოლფ შპინგერის ნაშრომებიდან მოხმობილი ამონარიდები ნათლად ადასტურებს, რომ ორივე თეორეტიკოსი ბევრ საკითხს პასუხგაუცემლად ტოვებს, ხან კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას უჭერენ

მხარს, ხან ერთა თვითგამორკვევას აღიარებენ, თუმცა არას ამბობენ იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება ცნებაში „ერთა თვითგამორკვევა“ — ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიების შექმნა მრავალეროვან სახელმწიფოში თუ ცალკეული ერისათვის მრავალეროვანი სახელმწიფოდან გასვლის უფლების მინიჭება? რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II ყრილობის მიერ დამტკიცებული პრგრამამაც დაუზუსტებელი დატოვა ცნება „ერთა თვითგამორკვევა“. ეს ცნება არც რუსეთის სოციალისტ-რევოლუციონერთა პროგრამაში დაკონკრეტებულა.

* * *

ერისა და ეროვნული მოძრაობის წარმოშობა, ეროვნული საკითხის გადაჭრის გზების ძიება ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში აქტიურად იხილებოდა 1907 წლიდან. ხშირად მეორედ იხილებოდა იგივე დებულებები, რომლებიც 1905-1906 წლებში გამოითქვა, თუმცა შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი სახსრები. განსაკუთრებით საინტერესოა არჩილ ჯორჯაძის, ნოე ჟორდანიას, მხაკო წერეთლის, იოსებ ჯულაშვილის, აკაკი ჩხენკელის ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებანი. იმედოვნოვლად ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა არჩილ ჯორჯაძესა და ნოე ჟორდანიას, ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯულაშვილს, მხაკო წერეთელსა და აკაკი ჩხენკელს შორის. პოლემიკაში სხვა პოლიტიკური მოღვაწეები ჩაერთვნენ. ასე გაგრძელდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე (1914 წ.). ამ საკითხზე პოლემიკამ ახალი ძალით იფეთქა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ და 1918 წლის მაისამდე გაგრძელდა.

არჩილ ჯორჯაძე (1872-1913)

1906 წელს თბილისში გამოცა არჩილ ჯორჯაძის ნაშრომი „ძველი და ახალი“. ავტორი წერდა: „თანამედროვე ეროვნებას ბევრნაირი თვისება აქვს: ტერიტორია, ზნე-ჩვეულება, ენა, საერთო მართვამეგებლობის ძალა, კაპიტალიზმი, განსაზღვრული ერთიანობის თვით შეგნება. მაგრამ არც ერთი თვისება კერძოდ აღებულია, არ ჰქვინს ხალხს ერად, არ ჰადავს მასში ეროვნულ გრძნობას. ტერიტორიას, მაგალითად, ეროვნების შექმნის პროცესში დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ იმ დროიდან, როდესაც უკვე შექმნილია ეროვნება და უკვე დაბადებულია ეროვნული თვით-შეგნება, ტერიტორიას ეკარება თავისი მნიშვნელობა, ხალხს, რომელსაც უკვე აქვს ამგვარი შეგნება, შეიძლება ტერიტორია აღარ ჰქონდეს, ხოლო იგი მაინც ერად რჩება (მაგალითად, სომხები და ებრაელები). ზნე-ჩვეულებაც არ არის ძირითადი ფაქტორი ეროვნების შექმნის საქმეში. ზოგ ხალხს აქვს საერთო ზნე-ჩვეულება, მაგრამ ეს ხალხი ეროვნების შეგნებაში არ ამაღლებულა. არც ენა არის აუცილებელი პირობა ეროვნულ გრძნობის განვითარებისათვის. ხშირად ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე სხვა და სხვა ენაზედ მოსაუბრე ხალხი ცხოვრობს, ხოლო ეს ხალხი თავის თავს ერთ ერად აღიარებს. შევიცარიაში გერმანელები, იტალიელები და ფრანგები კი არ ცხოვრობენ, არამედ შევიცარიელები, რომელთაც ერთი, შევიცარიული, თვით-შეგნება აქვთ, მოუხდევად იმისა, რომ ისინი სამ ენას ლაპარაკობენ. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ უფლებას, მართვამეგებლობის ძალას, არც მას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა ამ საქმეში. ბევრი ერი არის პოლიტიკურ თვით-არსებობას მოკლებული. კაპიტალიზმი? კაპიტალიზმი ხელს უწყობს მის წარმოშობას, მაგრამ არც კაპიტალიზმა მთავარი ფაქტორი. ბევრ ხალხს ჯერ კიდევ ფეოდალურ წყობილებაშივე ებადა ეროვნული შეგნება.

კაპიტალიზმი არ ჩაითვლება მიზეზად ეროვნულ თვითშეგნების დაბადებისა. დარჩა თვითშეგნების თვისება. როგორც ვნახეთ, იქ, სადაც თვითშეგნება არ არსებობს, არც ერი არსებობს. ხოლო ამკარაა, არც თვითშეგნების თვისება არის დამოუკიდებელი, პირველ ყოვლით ფაქტორი. ეროვნული თვითშეგნება ნაყოფია ცხოვრების მრავალგვარ მოვლენათა ზედავლენისა. და ამ მრავალგვარ მოვლენათა შორის მატერიალურ ხასიათის ფაქტორებს უპირატესი ადგილი უჭირავთ.“ ერის ნიშან-თვისებების შესახებ ამ ვრცელი მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე მოულოდნელად ასეთ განცხადებას აკეთებს: „მაგრამ ჩვენ ამ ყმად სოციალ-ოლოგიურ პრობლემის გადაწყვეტას არა ვკისრულობთ. ამ საგანს გაკვეთი შევხებით. ჩვენივეს საყურადღებოა დღეს მხოლოდ აი, რა: როგორც ვსთქვით, ეროვნება არის განსაზღვრულ ხალხში (ან ხალხებში, როგორც შევიცარიაში) აღორძინებულ ნათესაობის და მთლიანობის შეგნება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეროვნების ცხოვრებაში სხვა მოვლენასაც აქვს ადგილი, იმგვარ მოვლენას, რომელიც ამ ნათესაობის და მთლიანობის საფუძველს არღვევს. სახეში გვაქვს ხალხის მოპირდაპირე კლასებად დაყოფა და ამის გამო წარმომდგარი კლასებრივი მეტოქეობა და ბრძოლა. ამ-რიგად, ეროვნება თითქმის ერთიანად არის და ამვე დროს ბრძოლის ნიადაგიც. ისტორიის განსაზღვრულ საფეხურზედ ეროვნება მოწინააღმდეგე კლასთა თითქმის დამაკავშირებელი ძალაა. მაგრამ დღეა დრო, როდესაც კლასთა განხეთქილება უფრო ძლიერია, ვიდრე ეროვნების დამაკავშირებელი ძალა. ასე რომ, ეროვნება თავის სიღრმეშივე შეიცავს დარღვევის და სიკვდილის ფესვებს. მართლაც, თუ ეროვნება სხვა და სხვა კლასთა შორის კავშირის დამამტკიცებელი ძალაა, ამ ძალას მხოლოდ იმ დრომდე ექნება მნიშვნელობა, სანამ კლასთა შორის ორმო არ გაღრმავდება და ბრძოლაც არ გაფიცხდება. ხოლო, რაკი ამგვარი ბრძოლა გაჩაღდება, იგი ბრძოლა კლასთა გაუქმებით დაბოლოვდება. კლასთა გაუქმება კი ეროვნების გაუქმებასაც გამოიწვევს, რადგან, როგორც ვსთქვით, ეროვნება კლასთა შორის კავშირის დამამტკიცებელი ძალაა. რაკი ამ ძალას ნიადაგს გამოაცლით, ეროვნებაც თან გაკვეება. მაშინ ეროვნულ თვითშეგნების ადგილს კაცობრიობის და ადამიანობის თვითშეგნების აზრი დაიჭერს.“

ზემოთ დამოწმებული ვრცელი ამონარიდიდან შეიძლება რამდენიმე დასკვნის გაკეთება. არჩილ ჯორჯაძე მიიჩნევს, რომ ერის ნიშან-თვისებებია:

1. ტერიტორია;
2. ზნე-ჩვეულება;
3. ენა;
4. საერთო მართვამეგებლობის ძალა (სახელმწიფო ხელისუფლება);
5. კაპიტალიზმი;
6. თვითშეგნება.

არჩილ ჯორჯაძის აზრით, ყველა ამ ნიშან-თვისების ერთდროულად არსებობაც კი ხალხს ერად ვერ აქცევს, ვერ დაბადებს მასში ეროვნულ გრძნობას.

არჩილ ჯორჯაძე სხვა ნიშან-თვისებებთან შედარებით უპირატეს მნიშვნელობას თვითშეგნებას (თვითშეგნებას) ანიჭებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ერში ანტაგონისტური კლასების წარმოშობა ნიადაგს უთხრის და ანერგვს თვით-შეგნებას და ეროვნულ გრძნობას. ეროვნული გრძნობა გარკვეულ პერიოდამდე ამუხრუჭებს კლასთა შორის განხეთქილებას და ერთობის შენარჩუნებას წყობის ხელს. კლასობრივი ბრძოლა ძლიერდება, რაც საბოლოოდ კლასთა გაუქმებით და, ამასთან ერთად, ეროვნების გაუქმებით სრულდება. რა ემართება ამ შემთხვევაში ეროვნულ თვითშეგნებას?



არჩილ ჯორჯაძე

არჩილ ჯორჯაძე თავდაჯერებით ასუხობს: „ეროვნულ თვითშეგნების ადგილს კაცობრიობის და ადამიანობის თვითშეგნების აზრი დაიჭერს.“ როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობაზე გავლენა მოუხდენია სოციალისტურ იდეოლოგიას, კონკრეტულად კი— ანარქისტებისა და სოციალ-დემოკრატების კოსმოპოლიტურ იდეებს. ამ პერიოდში გამოქვეყნებულ არჩილ ჯორჯაძის სხვა ნაშრომებსაც ასახაიანებს ამგვარი გავლენა.

ჩვენი შეფასება შეიძლება ზედმეტად კრიტიკულიც კი მოეჩვენოს მკითხველს, მაგრამ არჩილ ჯორჯაძის ნაშრომი „ძველი და ახალი“ ჩვენი დასკვნის დამადასტურებელი მასალას მრავლად შეიცავს. ანტაგონისტური კლასებისა და ეროვნების გაქრობის შესახებ მსჯელობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძე აგრძელებს საუბარს ეროვნული თვითშეგნების მომავლის შესახებ: „ხოლო ამგვარი მომავალი სრულიად არ ნიშნავს იმას, ვითომც ყველაგან ერთფეროვანება და ერთგვარობა დამყარდეს. არა, თავისებურება და ენათა სხვა და სხვაობა დარჩება. მხოლოდ ვერც ენა, ვერც თავისებურება ამა თუ იმ ხალხისა ვეღარ აღადგენენ ეროვნებას, ვეღარ მოათავსებენ გაფართოვებულ თვითშეგნების აზრს ეწირო ეროვნულ თვითშეგნების ფარგლებში“. საინტერესოა ავტორის შეხედულება იმის შესახებ, თუ როდის მოხდება ეს: „ყოველივე ეს მოხდება სოციალური რევოლუციის შემდეგ, როდესაც კერძო საკუთრება განსაზოგადოვდება, როდესაც კლასთა არსებობას საფუძველი აღარ ექნება და, მაშასადამე, სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასაც ნიადაგი გამოეცლება. ამ საქმისათვის მუშათა კლასი დღესვე ემზადება, ხოლო მისი მოქმედება ჯერ ხნობით ეროვნულ ფარგლებში სწარმოებს.“ არჩილ ჯორჯაძის ნაშრომი „ძველი და ახალი“ 1905 წლის რევოლუციის გავლენითა დაწერილი და ავტორსაც კონკრეტული საკითხების გარკვევა ანტერესებდა: „მაშ, თუ ეროვნების ფარგლებში გვიხდება მოქმედება, თუ მუშათა კლასებრივი თვითშეგნება ეროვნულ ცხოვრების ჩარჩოშივე იბადება, რანაირად უნდა ვეკიდებოდეთ დღეს ეროვნულ კითხვას, ეროვნულ ცხოვრების მოწესრიგებას? ამ კითხვის გადაწყვეტის დროს განწყობილი ეროვნება კი არ უნდა გვექონდეს მსხვედველობაში, არამედ კონკრეტული, ეროვნება, დამავრული გარეშე ბარბაროსულ პოლიტიკურ ორგანიზაციის მიერ.“ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ეს კონკრეტული დამავრული ერი ქართველი ერა, ხოლო მხავერული — რუსეთი. ვ. ი. არჩილ ჯორჯაძე ქართველი ერისათვის გამოხატულობის მაინც დაუშვა. როგორ ესახებოდა ეს გამოხატულობა ავტორს, კარგად ჩანს მომდევნო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან.



(გამომდგომი იქნება)

პასტაშვილი

(საქართველოს ახალი ისტორია, ტ.4. გვ.61-64)

გაგრძელება დასაწყისი „ალიონი №19-21“ 2024წ. №1,2,4-9,2025 წ.

„ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, საფრანგეთში მოგზაურობის დროს, ერთ-ერთმა ემიგრანტმა ლევილში გადასცა მას, 30 წლის განმავლობაში გურიში ინახავდა, რადგან მაშინ ამის შესახებ საუბარი არ შეიძლებოდა. დოკუმენტის ორი ვარიანტი არსებობს, ეს შეიძლება იყოს ემიგრანტების მიერ საქართველოდან წაღებული აქტის ერთ-ერთი პირი, ან საფრანგეთში, ემიგრაციის მიერ შექმნილი. ეს დოკუმენტი ერთი რამით არის ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო, ძალიან ძვირფასი ყდა აქვს, ოქროს გერბით და გაფორმებული ემაღის თვლებით. თქვენ იცით, რომ რამდენიმე დამოუკიდებლობის აქტი არსებობდა, ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი ან საგანგებოდ ლევილისთვის შექმნილი პირი როგორც ჩანს, საქართველოდან ნაწილებად, ფრაგმენტებად გაიტანეს. შემდეგ, ჩვენ, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვუკეთებდით რესტავრაციას და დღეს ეს დოკუმენტი საქართველოს ხელოვნების ეროვნულ სასახლეში ინახება. ეს გაზღავთ ერთ-ერთი უნიკალური პირი ეს ჩვენი ისტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია“, – განუცხადა გიორგი კალანდიამ Europetime-ს. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ეს ეგზემპლარი ხელოვნების სასახლეში პირველად ეროვნული სასახლის მთავარ დარბაზში 2018 წლის 26 მაისს გამოჰყვინა.



იყო ცნობილი. ბატონი ანზორის თქმით, ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, საფრანგეთში მოგზაურობის დროს, ერთ-ერთმა ემიგრანტმა ლევილში გადასცა. მას 30 წლის განმავლობაში გურიში ინახავდა, რადგან მაშინ ამის შესახებ საუბარი არ შეიძლებოდა. დოკუმენტის ორი ვარიანტი არსებობს, ეს შეიძლება იყოს ემიგრანტების მიერ საქართველოდან წაღებული აქტის ერთ-ერთი პირი, ან საფრანგეთში, ემიგრაციის მიერ შექმნილი. ეს დოკუმენტი ერთი რამით არის ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო, ძალიან ძვირფასი ყდა აქვს, ოქროს გერბით და გაფორმებული ემაღის თვლებით. თქვენ იცით, რომ რამდენიმე დამოუკიდებლობის აქტი არსებობდა, ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი ან საგანგებოდ ლევილისთვის შექმნილი პირი როგორც ჩანს, საქართველოდან ნაწილებად, ფრაგმენტებად გაიტანეს. შემდეგ, ჩვენ, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვუკეთებდით რესტავრაციას და დღეს ეს დოკუმენტი საქართველოს ხელოვნების ეროვნულ სასახლეში ინახება. ეს გაზღავთ ერთ-ერთი უნიკალური პირი ეს ჩვენი ისტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია“, – განუცხადა გიორგი კალანდიამ Europetime-ს. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ეს ეგზემპლარი ხელოვნების სასახლეში პირველად ეროვნული სასახლის მთავარ დარბაზში 2018 წლის 26 მაისს გამოჰყვინა.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, გოლოვინის პროსპექტზე, მდებარე კავკასიის მეფის-ნაცვლის ყოფილ რეზიდენციაში (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე) დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

წყარო:Europetime.ei

ოზურგეთში ანსამბლ „პრისიონის“ სოლო კონცერტი გაიმართა



ოზურგეთის თეატრალურ მოედანზე, კულტურის სამინისტროსა და ოზურგეთის მერიის მხარდაჭერით, გაიმართა ანსამბლ „ერისიონის“ სოლო კონცერტი, რომელსაც გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ლურჯაშვილი, ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე და ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით ღარჩია ესწრებოდნენ. ღონისძიება მიემდგნა გამოჩენილი ლოტბარის, საზოგადო მო-

ღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის, სახელმწიფო და შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის — **ჯემალ ჭკუასელის** 90 წლის იუბილეს.

„ერისიონი“ მსოფლიოს წინაშე განასტეული შოუ-პროგრამით — „ქართული საგანძური“ წარდგა, რომელიც მოიცავს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ფოლკლორული შემოქმედების გამორჩეულ ნიმუშებს.

ოზურგეთის მუნიციპალური ჩემპიონატი ჭადრაკში



საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ოზურგეთის მუნიციპალური ჩემპიონატი 9 და 11 წლამდე ასაკის გოგონებსა და ჭადრეებს შორის, რომელშიც 20-მდე მონაწილე იყო ჩართული. მონაწილეთა შორის იყო ისინიც, რომლებიც პირველად ლეზიონდნენ მონაწილეობას ოფიციალურ შეჯიბრებაში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ასპარეზებმა უკვე საკმაოდ გამოცდილ მეტოქეებთან კარგად იასპარეხეს.

9 წლამდე ასაკში ბრწყინვალედ იასპარეხა **გაბრიელ სალუქვაძემ**, რომელიც ყველა პარტიის მოგებით (7-დან 7 ქულა!!!) გახდა ჩემპიონი. მართალია ეს წოდება მას შარშან 8 წლის ასაკშიც აქვს მოგებული მაგრამ ამჯერად სათამაშო კლასით უკეთ გამოავლინა თავი. 5-5 ქულით, II-III ადგილები თანაბრად გაიყო და ვერცხლის მედალიონები გახდნენ **ვაჩე ფოცხიშვილი** და **დავით თენიშვილი**. გოგონათა ჩათვლაში საუკეთესო

შედეგი (4 ქულა) **მარიამ მხეიძეს** ჰქონდა, გოგონებში მომდევნო საპრიზო ადგილები შესაბამისად და **მაია თავართქილაძეს** ერგო. ამ ასაკში მოასპარეხეთა შორის ქულათა 50%-იანი ზღვარი გადალახეს და შექტბა დაიმსახურეს **ალექსანდრე სირაძემ**, დავით ადგიშვილმა და **გაბრიელ შაფაქიძემ**.

11 წლამდე ასაკში, წრიული სისტემით 8 ტური გათამაშდა. აქ კარგად გამოავლინა თავი **დამიან გორდელაძემ**, რომელმაც 6 მოგებით და 2 ყაბით დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი. 5-5 ქულით II-III ადგილები გაიყო **ანდრია ლომაძემ** და **მართა მხეიძემ** დაიკავა. იმედდროულად, მართა გოგონათა ჩათვლაში ჩემპიონად გამოცხადდა. აქ თავისი პირველი სატურნირო ნათლობა მიიღო **გაბრიელ ტვილიძე**, რომელმაც გამოცდილ და ტიტულიან მეტოქეებთან კარგი, გააზრებული თამაშით დაგვამსხვრია თავი.

გოდერძი მახარაძის ორი ახალი მსოფლიო (ბინესის) რეკორდი

ალიონი. მსოფლიოს (გინესის) ათეულობით რეკორდის ავტორი, **გოდერძი მახარაძემ** 26 მაისს –საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქ. ოზურგეთში –„ჭადრების ბაღში“ 26 მაისის ღონისძიებაზე მსოფლიოს (გინესის) ორი ახალი რეკორდი დაამყარა.

პირველი –5 წუთში თავით 394-ჯერ აკენწლა ბურთი;

მეორე რეკორდი კი შარშან, ლანჩხუთში დამყარებული რეკორდის გაუმჯობესება გახლდათ, როცა იგი 1 საათისა და 35 წუთის განმავლობაში თავით კენწლაავდა ბურთს. მან იქ 12 006-ჯერ აკენწლა კალათბურთის ბურთი. **ამჯერად კი მან 1 საათსა და 44 წუთში 13 022-ჯერ აკენწლა კალათბურთის ბურთი.** ეს რეკორდი მისთვის 66-ე არის.



როგორც გოდერძი მახარაძემ გვითხრა, მან ეს რეკორდები ცნობილი ტელეკომენტატორების კოტე მახარაძის და ჯამლეთ ხუხაშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

აღნიშნული რეკორდების გენერ-

ალური სპონსორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ამჯერადაც გოდერძი მახარაძის გვერდით იყო საგანმანათლებლო-სპორტული მალაჩიების ქსელი „პეგასი“.



წვიმა
+11+16

2 ივნისი
ორშაბათი



წვიმა
+11+18

3 ივნისი
სამშაბათი



წვიმა
+12+20

4 ივნისი
ოთხშაბათი



მზე,
ღრუბლი
+12+22

5 ივნისი
ხუთშაბათი



მზე,
ღრუბლი
+15+22

6 ივნისი
პარასკევი



მზე,
ღრუბლი
+13+21

7 ივნისი
შაბათი



ღრუბლი
+13+19

8 ივნისი
კვირა